ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 37 (10407) 8 ნოემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთის ახალარჩეული მერი მუნიციპალიტეტის მართვას 24 ნოემბრიდან შეუდგება

ალიონი. 2021წლის 30 ოქტობრის ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნებში, ოზურგეთის მერობის კანდიდატმა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან“ **ავთანდილ თალაკვაძემ** 19 033 ხმა, ანუ ხმების 55,409% მიიღო და გაიმარჯვა; მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა ***კონსტანტინე შარაშენიძემ*** –15 327 ხმა, ანუ ხმების 44, 594 %.

ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქის 63 უბნიდან ავთანდილ თალაკვაძემ 50 უბანში გაიმარჯვა, ხოლო კონსტანტინე შარაშენიძემ 13-ში. ესენია ქ.ოზურგეთის №60/05 (50,82%); 60/06 (53,363%); 60/07 (56, 737%); 60/12 ლაითურის II (51,22%); №13 ნარუჯის I(56,497%); 60/16 ნასაკირალის I(68,36%); №60/20 ბახვის (50,58%); №60/21 ქვ. ბახვის (59,175%); №31 ლიხაურის I (50,53%); №60/44 სილაურის (51,131%); №60/52 ძიმითის (57, 858%); №60/58 ნარუჯის II (55,136%), №60/-59 ნასაკირალის II (59,459%)უბნებში.

ავთანდილ თალაკვაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლადარჩეულ წევრებს და თანაგუნდელებს შეხვდა, სადაც შემდეგი ორი კვირის სამუშაო საკითხები და გეგმები განიხილეს.

–*„სრული მზადყოფნაა შევუდგეთ მუშაობას ჩვენი პროგრამის და დაპირებების განხორციელებისთვის. 24 ნოემბრიდან მუნიციპალიტეტის მართვას ოფიციალურად გადმოვიბარებთ“*– განაცხადა ოზურგეთის ახლადარჩეულმა მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ.

დეკუტატობის რომელმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს მეორე ტურში

30 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინ 4 საარჩევნო მაჟორიტარულ ოლქში ასეთი მდგომარეობა იყო:

ქ. ოზურგეთის 60/01 საარჩევნო ოლქი

№25 გიორგი სირაძე – 1000 ხმა, 37,76%;

ლელა საჯაია – 1052 ხმა, 39,73 %;

ლაითური-ნარუჯის №60/53 საარჩევნო ოლქი:

№5 რაინდი დუმბაძე –952 ხმა, 38,34%;

№41 გიორგი ჩაგანავა –842 ხმა, 33,91%;

გურიანთა-სოფ. ოზურგეთი-მელექედურის №60/11 საარჩევნო ოლქი:

№53 დათა მიქელაშვილი –723 ხმა, 27,97%;

№41 ნინო მახარაძე –912 ხმა, 35,28%;

ასკანა-ძიმითი –ნაგომარის №60/12 საარჩევნო ოლქი:

№5 შალვა თავდიშვილი –474 ხმა, 25,47%;

№41 ტიტე მგელაძე –720 ხმა, 38,69 %.

30 ოქტობრის არჩევნებში შემდეგმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს:

ქ. ოზურგეთის 60/01 საარჩევნო ოლქი –№25 **გიორგი სირაძე;**

ლაითური-ნარუჯის №60/06 საარჩევნო ოლქი –№5 **რაინდი დუმბაძე;**

გურიანთა-სოფ. ოზურგეთი-მელექედურის №60/11 საარჩევნო ოლქი–№41 **ნინო მახარაძე;**

ასკანა-ძიმითი –ნაგომარის №60/12 საარჩევნო ოლქი–№41 **ტიტე მგელაძე.**

–*„ოზურგეთი ირჩევს ჟორიას!*

ვულოცავ ოზურგეთლებს და ***Gio Jorika -****ს!*

მადლობა ყველას გვედით დგომისთვის, სიყვარულისთვის. ერთი წამითაც არ ვნანობ რა გზაც ავირჩიე!“-ასე დისულოვნად გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ არჩევნებში დამარცხებული კანდიდატი **ლელა საჯაია** კონკურენტის გამარჯვებას.

საოლქო კომისიამ 9 უბნის შედეგები გადათვალა

ოზურგეთის საოლქო კომისიამ 1 ნოემბერს, ლოტოტრონით გამოვლენილი 7 საარჩევნო უბნის შედეგები გადაითვალა.

უბნების გადათვლის პროცესი საჯაროდ, პანდემიის საწინააღმდეგო რეგულაციების დაცვით ოზურგეთის სპორტის სასახლეში გაიმართა. გადაითვალეს ქ. ოზურგეთის №1 ,№23 ბოხვაურის, №25 დვაბზუს, №35 მერიის, №43 სოფელ ოზურგეთის, №56 ლაშეს, №62 ორმეთის საარჩევნო უბნების ყველა ბიულეტენი. გადათვლას არანაირი ცდომილება არ გამოუვლენია.

იმავე დღეს,საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილმა** მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს, არჩევნების მეორე ტურზე ვიდეოფიქსაციის ჩანაწერების არ არსებობის გამო 2-ზე მეტ საარჩევნო უბანზე, ლოტოტრონის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეერჩიათ 2-2 უბანი და მათი მონაცემების გადაეთვალათ. ასეთი უბანი ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში 8 აღმოჩნდა.

2 ნოემბერს, ლოტოტრონის პრინციპით ასეთი ორი უბანი შეარჩიეს: ლაშეს №60/09 და ნარუჯის №60/ 53 საარჩევნო უბნები.

გადათვლის პროცესს ეუთოს დამკვირვებლები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თავდაპირველად ლაშეს №60/09 უბნის მონაცემები გადაითვალეს. აქ 577 ამორჩეველი მივიდა არჩევნებზე

გადათვლის დაწყების წინ დამსწრეთაგან ასოციაცია „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენელმა **მანანა მენაბდემ** გადათვლის პროცესი დატოვა.

–*„საცირკო წარმოდგენაში მონაწილეობას არ მივიღებ. რა თქმა უნდა „ქართული ოცნების“* წარმომადგენელმა გაიმარჯვა“–განაცხადა მან.

შემდეგ დაბა ნარუჯის №53 საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა დაიწყეს. აქ მერობის კანდიდატის გარდა საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატიც აირჩიეს. საუბნო კომისიიდან მხოლოდ ერთი წევრი, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი ილარიონ კახაძე დაესწრო.

როგორც ლაშეს შემთხვევაში, აქაც გადათვლას ცდომილება არ გამოუვლენია.

ეუთოს წარმომადგენლებმა ტაშით დაადასტურეს საოლქო კომისიის წევრები.

ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ბერდია ლომიძემ** მედიასთან აღნიშნა, რომ ორი დღის განმავლობაში მათ მიერ უბნების გადათვლის პროცესი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნდობის გამყარებას საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის მიმართ საზოგადოებაში.

გომისმთის გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ალიონი. 2020 წლის 27 ივლისს, საგზაო დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჰესი-გომისმთის 13-26,6 კილომეტრის მშენებლობაზე გამარჯვებული კომპანია შპს „ **New road**“ გამოცხადდა. გზის სამშენებლო სამუშაოების სატენდერო ღირებულება – 18 811888 ლარი.

–*მშენებლობა აქტიურ ფაზაშია, ამჟამად გის სამშენებლო სამუშაოები 25-ე, 26-ე კილომეტრზე მიმდინარეობს.ხდება გზის გაგანიერება, ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. ძალიან რთულ რელიეფში, 10 მეტრი სიმაღლის კლდის ჩამოჭრის სამუშაოებს ვახდენთ. ამ ეტაპზე შესრულებულია მთლიანი სამუშაო მოცულობის 24%. სანამ ამინდი საშუალებას მოგვცემს, ვიმუშავებთ. ოზურგეთი-გომისმთის გზა შაბათ-კვირასაა გახსნილი* –გვითხრა ქვემოიჯარე „შპს „გზამშენი 18“-ის მთავარმა ინჟინერმა **ვახტანგ ჭანტურიამ.**

მშენებლობა შარშან შემოდგომაზე დაიწყო და 2022 წლის აგვისტოს ბოლოს უნდა დასრულდეს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საკოორდინაციო საბჭომ „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია და ვაქცინაციის წამახალისებელი სხვა ღონისძიებები განიხილა

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება, „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია და ვაქცინაციის წამახალისებელი სხვა ღონისძიებები განიხილა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 4 ნოემბრის სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაში დღეს მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

საბჭომ იმსჯელა ვაქცინაციის პროგრამის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობაზე. გაგრძელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია და მარათონი, რომელიც სხვადასხვა რეგიონში მობილური ბრიგადების ჩასვლას და აცრის მსურველი მოქალაქეებისთვის სერვისის ადგილზე მიწოდებას გულისხმობს.

საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს „მწვანე პასპორტის“ გამოყენებასთან დაკავშირებული წინადადებები, რომელთა შესახებ დეტალური მსჯელობა გაიმართება და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საბჭოს სხდომა დამატებით ჩაინიშნება.

ეპიდემიოლოგებმა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი ხალხმრავალი შეკრებების თავიდან აცილების მნიშვნელობას, რაც ვირუსის გავრცელების ერთ-ერთ ბუსტერად არის მიჩნეული. ასევე, განსაკუთრებით აღინიშნა სოციალური დისტანციის დაცვისა და პირბადის გამოყენების ეფექტურობა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 738 171 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 678 288 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 10 238 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 37 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 1 159 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 6 648 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი.

პურზე შეიძლება ფასი შეიცვალოს, მაგრამ მტკივნეულად არა" - რამდენი თეთრით გაძვირდება პური

„მსოფლიო ბირჟებზე 320 დოლარიდან 350 დოლარამდე რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა ხორბლის ფასი. ეს საქართველოსთვის იმის ნიშანია, რომ თადარიგი უნდა დავიჭიროთ“ - ამის შესახებ პურის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა განაცხადა.

მალხაზ დოლიძემ ბაზარზე არსებული სიტუაცია მიმოიხილა და თქვა, რომ პურის ფასის ცვლილება ახალ წლამდე მოსალოდნელი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ გაძვირებულია ყველა კომპონენტი, რაც პურის თვითღირებულებაში შედის.

„გუშინ მივიღეთ ინფორმაცია, მსოფლიო ბირჟებზე 320 დოლარიდან 350 დოლარამდე რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა ხორბლის ფასი. ეს საქართველოსთვის იმის ნიშანია, რომ თადარიგი უნდა დავიჭიროთ ვაწარმოოთ ხორბალი და მეტად უნდა გაიზარდოს შიდა ბაზრის ხვედრითი წილი. ეს დღის წესრიგში უკვე დგას“, - განაცხადა დოლიძემ.

კითხვაზე, რამდენი თეთრით შეიძლება გაიზარდოს პურის ფასი, დოლიძე ამბობს, რომ მაქსიმუმ 5-10 თეთრით.

„სხვა ქვეყნებთან შედარებით პურპროდუქტებზე საქართველოში ფასი ნორმალურია, თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. უმაღლესი ხარისხის ფქვილი, რომელსაც საკონდიტროები იყენებენ, 90 ლარი ღირს, ეს არის ყველაზე მაღალი ფასი, რაც კი ოდესმე ყოფილა. უახლოეს მომავალში პურის გაძვირებას არ ვპროგნოზირებ. ამის იმედს მაძლევს ის, რომ „სახელმწიფოს მამები“ მიიღ-ებენ გადაწყვეტილებას, რომელიც ხელს გაუმართავს წარმოებას, რომელიც სასიცოცხლო პროდუქტს უშვებს. პურზე შეიძლება ფასი შეიცვალოს, მაგრამ მტკივნეულად არ შეიცვლება, 5-10 თეთრით მაქსიმუმ. ახალ წლამდე ცვლილებას არ ველოდებით“- განაცხადა მალხაზ დოლიძემ „მედიაცენტრ მთავარში“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

კომპანია „ფაიზერი“ - კოვიდ 19-ის სამკურნალო პრეპარატი ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელს თითქმის 90%-ით ამცირებს

ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერი“ აცხადებს, რომ მის მიერ შექმნილი კორონავირუსის სამკურნალო ექსპერიმენტული ანტივირუსული აბები ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელს თითქმის 90%-ით ამცირებს.

მედიის ინფორმაციით, „ფაიზერმა“ 775 ზრდასრულ ადამიანზე ჩატარებული კვლევის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. კვლევის თანახმად, იმ პაციენტებში, რომლებიც კომპანიის პრეპარატს სხვა ანტივირუსულ პრეპარატთან ერთად კოვიდ 19-ის სიმპტომების გამოვლენიდან მცირე დროის შემდეგ ღებულობდნენ, ჰოსპიტალიზაციის ან სიკვდილიანობის მაჩვენებელი ერთი თვის შემდეგ 89%-ით შემცირდა იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც პლაცებოს აძლევდნენ.

კვლევის მონაწილეები არავაქცინირებულნი იყვნენ, ვირუსის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმით და ჯანმრთელობის პრობლემების გამო, როგორიცაა სიმსუქნე, დიაბეტი ან გულის დაავადება ჰოსპიტალიზაციის მაღალ რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.

მათი მკურნალობა პირველადი სიმპტომების გამოვლენიდან 3-5 დღეში დაიწყეს და 5 დღის განმავლობაში გააგრძელეს. იმ პაციენტებმა, რომლებმაც ადრე მიიღეს პრეპარატი, აჩვენეს ოდნავ უკეთესი შედეგები, რაც ხაზს უსვამს სწრაფი ტესტირებისა და მკურნალობის აუცილებლობას.

„ფაიზერში“ აცხადებენ, რომ კომპანია მიმართავს აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაციას და საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანოებს მისი აბის გამოყენების ავტორიზაცია რაც შეიძლება მალე გასცენ. დამტკიცების შემთხვევაში პრეპარატი **Paxlovid**-ის დასახელებით გაიყიდება.

ახალი ქსელის მოწყობა დასრულდა



წყალმომარაგების კომპანიამ, ქალაქ ოზურგეთში, გრიბოედოვის ქუჩაზე 5 სართულიანი კორპუსის-თვის წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულა. კორპუსში, საკანალიზაციო ქსელი ამორტიზებული იყო და შეცვლას საჭიროებდა.

სამუშაოების შედეგად, გრიბოედოვის ქუჩაზე აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები წყალარინების ახალი ინფრასტრუქტურით არიან უზრუნველყოფილნი.

„ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის დოკუმენტის შეფასების ანგარიში

ანგარიშზე მუშაობდნენ:

მარიამ ხვედელიძე *- მკვლევარი, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის მაგისტრი; არასამთავრობო ორგანიზაციის - საზოგადოება მდგრადი მომავლისთვის (**CSF**) თანადამფუძნებელი.*

მარიამ არჩუაძე *- ეკოლოგი, ბუნებრივი რესურსების მართვის მაგისტრი; არასამთავრობო ორგანიზაციის - საზოგადოება მდგრადი მომავლისთვის (**CSF**) თანადამფუძნებელი.*

ვალერიან თევდორაძე *- გარემოსდაცითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის მაგისტრანტი; არასამთავრობო ორგანიზაციის - საზოგადოება მდგრადი მომავლისთვის (**CSF**) თანადამფუძნებელი.*

შესავალი

ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე ბახვისწყალზე, კურორტ ბახმაროს სარეკრეაციო ზონაში, კომპანია შპს „სი-სი-ეიჩ ჰიდრო VI“ გეგმავს 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის დერივაციული ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, შესაბამ-ისად კომპანიის დაკვეთით საკონსულტაციო კომპანია „ვამა კონსალტინგმა“ 2020 წელს მოამზადა - მდინარე ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 1“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგა-რიში, რომელიც წარედგინა საქართ-ველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ კომპანიას დამატებითი დოკუმე-ნტაციის წარდგენა და მთელი რიგი საკითხების დაზუსტება მოსთხოვა, მათ შორისაა 12 გარემოსდაცვითი საკითხი, რომლებიც ასევეა განხილული წინამდებარე შეფასების დოკუმენტში. სამინისტროს მიერ კომპანიისთვის მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტა-ცია მოწმობს შესრულებული სკოპინგის ანგარიშის არასრულყოფილებას. წარმოდგენილი შენიშვნების სიმრავლე პირდაპირი ინდიკატორია სკოპინგის დოკუმენტის ხარისხისა და სრულიად ლოგიკურად აჩენს განცდას, რომ კომპანია არასერიოზულად მოეკიდა აღნიშნულ პროცედურას და მთელ რიგ საკითხებზე, მათ შორის, ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთ-იერთშეწონასთან დაკავშირებით, პასუხები უბრალოდ არ გაჩნია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოპინგის ეტაპზე არ განხორციელებულა სათანადო კვლევა არც გეოლოგიური და არც ჰიდროლოგიური თუ ეკოლოგიური თვალსაზრისით. კომპანიის მიერ სამინისტროსადმი წარდგენილი ე.წ. სკოპინგის ანგ-არიში და დამატებით მომზადებული დოკუმენტაცია წარმოადგენს არა რეალურ ანგარიშსა და შეფასებას, არამედ სამომავლოდ დაგეგმილი და განსახორციელებელი კვლევების ნუსხას, რაც წინაალმდეგობაში მოდის სკოპინგის პროცედურის არსთან.

სკოპინგის ანგარიშისა და დამატებითი დოკუმენტაციის ზოგადი შეფასება

„ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის ანგარიშსა და სამინისტროსთვის წარდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები, კერძოდ:

** სკოპინგის ეტაპზე, **კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი კვლევები არცერთი მიმართულებით.** დოკუმენტებში ვხვდებით მხოლოდ სამომავლოდ, გზშ-ს ეტაპზე განსახორციელებელი კვლევების ჩამონათვალს, რაც შეუსაბამობაში მოდის და აზრს უკარგავს მთლიანად სკოპინგის პროცედურას;*

**** სკოპინგის ანგარიშსა და დამატებით დოკუმენტაციაში არასწორად არის წარმოდგენილი ნულოვანი ალტერნატივა**. იმის ნაცვლად, რომ მომხდარიყო საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი განვითარების სამეცნიერო სცენარის წარმოდგენა (რასაც მოითხოვს გზშ-ს კანონმდებლობა), არაქმედების, ივივე ნულოვანი ალტერნატივა ეთმობა მხოლოდ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სოციალური სარგებლის ჩვენებას, რაც აცდენილია ნულოვანი ალტერნატივის პრინციპთან. გარკვეული ხარვეზები და უზუსტობებია ადგილების და ჰესის ტიპის ალტერნატივების შერჩევისასაც, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის თავში;*

** ჰესის მშენებლობა დაგეგმილია ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში, რომელიც ხასიათდება უნიკალური მიკროკლიმატით, შესაბამისად, დეტალურად და საფუძვლიანად უნდა მოხდეს ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების საკითხის შესწავლა ბახმაროს მიკროკლიმატზე. **წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედება შეფასებულია 1980-იანი წლების მეთოდოლოგიით, რაც 21-ე საუკუნის სტანდარტებისა და კლიმატოლოგიის, როგორც მუდმივად განვითარებადი მეცნიერების გათვალისწინებით, მოძველებული მიდგომაა და საკითხის სენსიტიურობის გათვალისწინებით, საჭიროებს თანამედროვე მიდგომით შეფასებას.** რაც მთავარია, წარმოდგენილ დოკუმენტებში და სამომავლოდ განსახორციელებელ კვლევებში **არ არის საუბარი კლიმატის ცვლილების შესაძლო გავლენის შეფასებაზე,** რაც ვფიქრობთ აუცილებელი კომპონენტია. უფრო დეტალური შეფასებისთვის, გთხოვთ, გაეცნოთ შესაბამის თავს;*

** საპროექტო ტერიტორიის ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაუფასურების მიზნით, **დოკუმენტში არასრულფასოვნადაა წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების შეფასებაც**. კომპანია მიიჩნევს, რომ საპროექტო არეში წარმოდგენილი არ არიან საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები, თუმცა ეს დასკვნები ფაქტობრივად ჩაუტარებელ კვლევებს და ზერელე შეფასესბებს ეყრდნობა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ბიომრავალფეროვნების თავი;*

**** კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს წყლის ეკოლოგიური ხარჯი, რომელიც, როგორც სხვა მსგავსი ტიპის ჰესების შემთხვევაში, აქაც განსაზღვრულია 12%-ით.** ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის მიდგომები, რათა შენარჩუნებულ იქნას მდინარის კარგი ეკოლოგიური სტატუსი. ამას კი, მსგავსი ტიპის ჰესების გამოცდილების გათვალისწინებით, 12%-იანი ეკოლოგიური ხარჯი ვერ უზრუნველყოფს. შეიძლება ითქვას, რომ წყლის ხარჯის საკითხი დერივაციული ჰესების შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, რომელიც სათავეს არასწორად დამკვიდრებული პრაქტიკიდან იღებს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს იქთიოფაუნას;*

** ვინაიდან, ჰესის აშენება ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში იგეგმება, მნიშვნელოვანია ჰიჰდროელექტროსადგურის მშენებლობით გამოწვეული ვიზუალური დაბინძურების საკითხიც. მართალია, ჰესის სათავე ნაგებობა არ არის ხილვადი უშუალოდ დასახლებული პუნქტიდან, თუმცა ძალიან კარგად ჩანს ე.წ. მზის ჩასავალი გორიდან, რომელიც კურორტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წერტილია, სწორედ პანორამული ხედებისა და მზის ჩასვლის ულამაზესი პეიზაჟით. შესაბამისად, **კომპანიის მტკიცება, რომ ვიზუალურ დაბინძურებას ადგილი არ ექნება და მეტიც, ჰესი არ იქნება ხილვადი დამსვენებლებისთვის არ შეესაბამება სიმართლეს;***

**** კომპანიის მხრიდან არასათანადოდაა წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და ასევე გარემოზე მიყენებული შეუქცევადი ზიანი.***

** კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ტერიტორიისა და გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის თანხვედრა წარმოადგენს. **ჰესის საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის კონტურებს**, რაც იმას ნიშნავს, რომ პარალელურად მიმდინარე პროცესში თუ ჰესზე მშენებლობის ნებართვა გაიცემა, გურიის ეროვნული პარკის საზღვრები უნდა კორექტირდეს და, შესაბამისად, ფართობიც შემცირდეს.*

გვ-4

თვითმმართველობის არჩევნები – სამოქალაქო ომი იმაგოს ფაზაში

თვითმმართველობის ორტურიანი არჩევნების დამთავრებისა და გამარჯვებულ-დამარცხებულის გამოვლენის შემდეგ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა მაინც ვერ იქნება, რადგან საქართველოში ნებისმიერი არჩევნები ჰგავს სამოქალაქო ომს იმაგოს ფაზაში და საბოლოოდ რა მწერი გამოიჩეკება არავინ იცის.

ცხრა არჩევნების ზედიზედ წამგები ე. წ. მთავარი ოპოზიციური ძალა ცხრაჯერ ტყავის გაძრობით ემუქრება მის ცხრაჯერ დამმარცხებელ და საკაშვილის „თაფლის დიეტაზე“ დამსმელ „ოცნებას“. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ოცნება რა შუაშია?! თხრას დაჩვეულმა მიშამ („მიშკამ“) თხარა, თხარა და რუსთავის ციხისკენ გვირაბი თვითონ გათხარა. ამოავსეს და, არა მგონია, აქეთ გამოთხრაც შეძლოს. ასე რომ, „ნაცების“, მისი მხარდამჭერებისა და მათზე აყოლილების სლოგანი „თავისუფლება მიშას“ მინიმუმ ექვსი წელი არ გაქრება პოლიტიკური ველიდან.

ისე, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, დამარცხების ქრონიკულად შეურიგებელი საკაშვილის პოლიტიკური პარტია, ბოლო არჩევნებზე მიღებული შედეგებით, არ უნდა იყოს მთლად უკმაყოფილო, რადგან ხელისუფლების მართვის სადავეების დაკარგვის შემდეგ, თვითმმართველ სტრუქტურებში ამდენი „ნაცი“. არასოდეს გაუყვანია. აჰა, თვითმმართველობის არჩევნებით ხელისუფლებაში დაბრუნება ჰქონდა მიზნად? ჰმ, მოსულა მადაზე. მოხარშული წაბლი არ უნდა?

არა, ის რა იყო, პირველ ტურში განცდილი ფიასკოს შემდეგ, ეს „სანაცეთელები“ მთელ საქართველოში რომ მიმოიფანტნენ „დამკვირვებლებად“?! ზოგმა, ღლონტის ღორივით (გამოთქმაა ასეთი) დაადო თავი, სხვა მუნიციპალიტეტებში გადაინაცვლა და იქ შეეცადა დინგის კვრას. ესენი ახლა ისეთ დღეში არიან, სხეულის ერთი ნაწილით კაკალს ტეხენ და რაც უფრო კერკეტს შეურჩევენ, მით უკეთესი იქნება ქვეყნისა და საზოგადოებისათვის.

მოკლედ, არა და არ ჩატარდა ამ პარტიის მოსაწონი არჩევნები. ცხრა არჩევნები ათჯერ გაგვიყალბესო, გაიძახიან. თუ ასეა, საღოლ „ოცნებას“, არ ყოფილა მთლად უნიათო. არჩევნების გაყალბების დიდოსტატებს რომ არჩევნებს გაუყალბებ, თანაც არაერთხელ, ჩათვალე, რომ მალე შენაც საერთაშორისო დიდოსტატი გახდები.

ორიოდე სიტყვით იმ ამომრჩევლის შესახებ, ვინაც მხარი დაუჭირა და მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“: ერთი და იგივე პარტია რომ ზედიზედ რვაჯერ წააგებს არჩევნებს და მეცხრე არჩევნებშიც ისევ იმას აძლევ ხმას, ეს უკეთეს შემთხვევაში პრინციპულობა კი არა, სიჯიუტეა, უარესში კი — ფსიქიკური აშლილობა (პარდონ!).

უკეთეს დღეში არც „ოცნების“ ამომრჩეველია და სულ ცოტა, 41 ასეთ „ეპითეტს“ იმსახურებს იმისათვის, რომ არჩეულს დანაპირების შესრულებას არ აიძულებს, სისხლიან რეჟიმთან კოჰაბიტაციას დემოკრატიულ ნაბიჯად უთვლის და დასასჯელის დაუსჯელობისთვის პასუხს არ თხოვს. ახლაც ბაქი-ბუქობს, „ნაციონალური მოძრაობა“ დამთავრდაო. „ოცნება“ რომ „ნაციონალების“ დამამთავრებელი ყოფილიყო, ამდენ ხანს დაამთავრებდა და ქვეყანაც მოისვენებდა. ყოფილი პრემიერი კი შეპირდა, „მე თქვენ დაგამთავრებთო“, მაგრამ „ოცნებიდან“ ეს ვერ შეძლო, ახალი, საკუთარი პარტიის შექმნის შემდეგ კი, ეს ფრაზა მისი ლექსიკიდან საერთოდ ამოვარდა.

ნუ იქნება „ოცნება“ დარწმუნებული იმაში, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ეს უფრო სპორტშია, პოლიტიკაში კი, თუ რაიმე მიჰქარა, გაასამართლებენ კი არა, კუდით ქვას ასროლილებენ და საამისოდ სტრასბურგი არ დასჭირდებათ, მურუსიძის სასამართლოც საკმარისი იქნება.

მესამე ძალაზე არაფერი მითქვამს, არც მეოთხეზე და არც მომდევნოებზე. ან რა არის სათქმელი, როცა, მიღებული ხმების რაოდენობით, მათი უმრავლესობა ოდნავადაც ვერ მიუახლოვდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ პირველ ორს? „ლელო“ რომ ლელოს გატანას გვპირდებოდა, წაგებულ-ამოძუებული ახლა დეპუტატის მანდატს ერთჯერადი ცხვირსახოცივით ხმარობს, პარლამენტიდან გარბის და წალენჯიხაში დაფუძნებას აპირებს; ლეიბორისტული (ხალხის) პარტია, დღიდან გაჩენისა, ამომრჩევლისგან ხელისუფლებაში მოსვლის ნებას რომ ითხოვდა, ფანჩატურიდან თავს არ ყოფს გარეთ, ამ პოლიტიკური ტალახის თავსხმაში მასეთ სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებთან არაფერი გვესაქმებაო; ორად გახლეჩილი „გირჩი“ და გირჩელები კი, ჯერ ერთმანეთში იმას ვერ არჩევენ, იკაიფონ თუ იპოლიტიკოსონ...

საქართველოში დღეისათვის 200-ზე პოლიტიკური პარტია ყოფილა დარეგისტრირებული და ყველას ცოდვას, ძალიანაც რომ ვეცადო, ერთ წერილში ვერ ჩამოვთვლი.

ყველას შეუნდე, უფალო! მოხედე, ნუ დაანგრევინებ დღემდე რის ვაივაგლახით მოყვანილ ამ ქვეყანას.

თემურ მარშანიშვილი

„ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის დოკუმენტის შეფასების ანგარიში

„ბახვი 1“ ჰესი და გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საპროექტო ჰესთან დაკავშირებით წამოიჭრა, არის საპროექტო „ბახვი 1“ ჰესისა და გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის თანხვედრა. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება სამინისტრომ კომპანიისთვის გაგზავნილ შენიშვნებშიც გაამახვილა და კომპანიისგან მოითხოვა ჰესის განთავსების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

საპასუხოდ, კომპანიამ წარმოადგინა მოკლე კომენტარი, რომელსაც არაფერი არ აქვს საერთო გეგმარებითი დაცული ტერიტორიის ფარგლებში ჰესის აშენების საჭიროების დასაბუთებასთან. მომზადებულ პასუხში კომპანია ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ ჰესის პროექტის განხორციელება გარემოზე მნიშვნელოვან და შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს, კერძოდ ის ამბობს: „საპროექტო დერეფანში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღებას ადგილი არ ექნება“, „მშენებლობის ფაზაზე ადგილი ექნება მხოლოდ მოკლევადიან ზემოქმედებას ფაუნის სახეობებზე“, „ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, გარდა წყლის ბიოლოგიური გარემოსა და წყალთან დაკავშირებული სახეობებისა“ და „საპროექტო არეალის ბიოლოგიური გარემოს წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის განხორციელება ბიოლოგიურ გარემოზე შეუქცევად ზემოქმედებასთან დიდი ალბათობით დაკავშირებული არ იქნება“. **თითოეული ეს დაშვება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის ვარაუდს, არ ეფუძნება წინასწარ კვლევებს და, შესაბამისად, მსგავსი განაცხადების გაკეთება გაუმართლებელია.**

საპასუხო კომენტარში ასევე ნახსენებია, რომ შეხვედრა შედგა პროექტის განმახორციელებელსა და გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის პროექტზე მომუშავე ორგანიზაციის - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის (**WWF Caucasus**) წარმომადგენელს შორის. თუმცა, **კომპანიის მხრიდან არ არის წარმოდგენილი WWF-ის პოზიცია გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის საზღვრებში „ბახვი 1“ ჰესის პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ**.

გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ გაუმართლებელია **კომპანიის მიერ იმ ფაქტით მანიპულირება, რომ გურიის დაცული ტერიტორიის წინასწარ საზღვრებში შედის რამდენიმე უკვე ოპერირებადი ჰესი** („ბჟუჟა ჰესი“, „ბახვი 3“ ჰესი, „საშუალა 1“ ჰესი, „საშუალა 2“ ჰესი) და დაგეგმილი, ნებართვების ეტაპზე მყოფი ჰესები („ნატანები 1“ ჰესი, „ნატანები 2“ ჰესი და ა.შ). კომპანიის მხრიდან აღნიშნული ფაქტით სარგებლობა საკუთარი საქმიანობისთვის მწვანე შუქის ანთებას ჰგავს იმ ლოგიკით, რომ თუ რაიმე ქმედება სხვისთვის დასაშვებია, ჩემთვისაც დასაშვები უნდა იყოს. არადა, გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის ფარგლებში არაერთი ოპერირებადი თუ დაგეგმილი ჰესის მოხვედრა არგუმენტი უნდა იყოს არა კიდევ ერთი დამატებითი ჰესის აშენების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად, არამედ პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან პროექტის განხორციელების საჭიროების კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად.

ასევე, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2021 წლის 24 ივნისს ქალაქ ოზურგეთში გაიმართა შეხვედრა გურიის დაცული ტერიტორიის შექმნის შესახებ, სადაც დაზუსტდა ინფორმაცია გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიისთვის ეროვნული პარკის კატეგორიის მინიჭების შესახებ. შეხვედრაზე **WWF-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ „ბახვი 1“ ჰესის პროექტი ხვდება გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის საზღვრებში. თუმცა მათ განმარტეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გურიის ეროვნული პარკის შექმნა „ბახვი 1“ ჰესის მშენებლობაზე ადრე მოხდება, ეროვნული პარკის კატეგორიის გათვალისწინებით, მის ფარგლებში ჰესის განთავსება დაუშვებელი იქნება.**

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომპანია გზშ-ს ეტაპზე სწორედ მას შემდეგ გადაიყვანა, რაც გურიაში გამართულ შეხვედრაზე დადგინდა, რომ „ბახვი 1“ ჰესისთვის შერჩეული ტერიტორია ხვდება გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის ფარგლებში და იმ შემთხვევაში, თუ გეგმარებითი ეროვნული პარკის დღევანდელი საზღვრებით შექმნა დროში წინ გაუსწრებს ჰესის მშენებლობაზე ნებართვას, პროექტი

ალტერნატივების განხილვა

სკოპინგის ანგარიშის II თავში, ისევე როგორც დამატებით დოკუმენტაციაში (დანართი 1) წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის ნაგებობების ადგილმდებარეობისა და ტიპების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ.

პროექტის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა და შედარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. თუმცა იმისთვის, რომ ეს ეტაპი ეფექტური და რეალური შედეგის მომტანი იყოს, **აუცილებელია ალტერნატივების განხილვამდე და ადგილმდებარეობის ვარიანტების გამოკვეთამდე, დაწყებულ იქნას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი. ეს მნიშვნელოვანია იმით, რომ ალტერნატივები ღია იყოს განხილვისთვის და პროექტის ადგილმდებარეობის ვარიანტებს შორის შერჩეულ იქნას ყველაზე ოპტიმალური, გარემოზე მინიმალური ზემოქმედების მქონე ალტერნატივა**.

კომპანიის მიერ წარმოდგენილ ალტერნატივებთან მიმართებით, პირველ რიგში, ხაზგასასმელია შეგუბებების სარკის ზედაპირის ფართობების საკითხი თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში. I ალტერნატივაში საათობრივი რეგულირების რეზერვუარის სარკის ზედაპირი 56346 მ2 ანუ 5,6 ჰექტარია, ხოლო II და III ალტერნატივების შემთხვევაში კი შესაბამისად - 33587 მ2 ანუ 3.3 ჰა და 34561 მ2 ანუ 3.4 ჰა. ამასთან, I ალტერნატივის შეფასებისას ნათქვამია, რომ წყლით დასაფარი ტერიტორია ანუ 5.6 ჰა დიდი ფართობისაა და საჭირო დეტალურად იქნას შესწავლილი ადგილობრივ კლიმატზე და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები. ხოლო, II და III ალტერნატივებში, სარკის ზედაპირები იმდენად მცირე ფართობის მქონედაა მიჩნეული, რომ მათი ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე და ადგილობრივ კლიმატზე მინიმალურია. თუმცა, აქ **აღსანიშნია ის ფაქტი, რომ შეგუბების ზედაპირის ფართობებს შორის განსხვავება I და II, III ალტენრატივებს შორის 2,3 - 2,2 ჰექტარია, ანუ ფართობი დაახლოებით ? -ით არის შემცირებული, რაც არც თუ ისე დიდი ტერიტორიაა საიმისოდ, რომ ერთ შემთხვევაში მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვნად და დეტალურად შესასწავლად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში მინიმალური ზემოქმედების მქონედ.**

გარდა ამისა, უზუსტობას აქვს ადგილი მდ. ბახვისწყლის სანაპიროების ფერდობებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკებთან მიმართებით. თუ სათავე ნაგებობების ალტერნატივების შეფასებისას არაერთხელ არის ნათქვამი, რომ მდ. ბახვისწყლის მარჯვენა ფერდობებზე უფრო მაღალი ალბათობა არსებობს გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებისა და ამიტომაც, საჭიროა მარჯვენა ფერდობის დეტალური საინჟინროგეოლოგიური კვლევის ჩატარება, სადაწნეო მილსადენის ალტერნატივების შეფასებისას ხაზგასმულია, რომ საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით შედარებით მაღალი რისკების მატარებელია მდინარის მარცხენა სანაპიროს ფერდობები, კერძოდ, ფერდობები ძლიერ დახრილია და მრავალ ადგილზე აღინიშნება მეწყრული და ეროზიული პროცესები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მარჯვენა სანაპიროს ფერდობების კონკრეტულად რომელ მონაკვეთშია მეწყრული პროცესების განვითარების საფრთხე, მხოლოდ სათავე ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუ მდინარის უფრო ქვემო წელზეც. ასევე, სიღრმისეულად უნდა შეფასდეს რა ზემოქმედება შესაძლოა იქონიოს ამ პროცესებმა სადაწნეო მილსადენზე, რომლის გაყვანაც ალტერნატივების განხილვის შედეგად მდინარის მარჯვენა სანაპიროს მხარეს გადაწყდა.

რაც შეეხება ჰესის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების ქვეთავს, ამ პარაგრაფში ნათქვამია, რომ განხილულ იქნა მთის პირობებში მცირე მდინარეების ათვისების ტრადიციული სქემები და შეირჩა საათობრივი რეგულირების დერივაციული ტიპის ჰესი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით საუკეთესო ალტერნატივაა და მაღალი ზემოქმედების რისკებით არ გამოირჩევა. თუმცა, რომელ ალტერნატივებთან შედარების შედეგად მიენიჭა აღნიშნული ტიპის ჰესს პრიორიტეტი და რატომ ეს არ ჩანს. აღნიშნული საკითხი, რა თქმა უნდა, საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას და შესაბამისი ალტერნატივების ჯეროვნად განხილვას.

არაქმედების, ანუ ნულოვანი, პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივის ნაწილთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქვეთავი სრულიად არის აცდენილი ნულოვანი ალტერნატივის განხილვის არსსა და მიზანს. კომპანიის მიერ წარმოდგენილ I დანართში არაქმედების ალტერნატივის ქვეთავში განხილულია მხოლოდ ის სავარაუდო სარგებელი, რომელსაც „ბახვი 1“ ჰესის პროექტის განხორციელება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს მოუტანს და საკითხები, რომლებიც გზშ-ის ეტაპზე უნდა იქნას დეტალურად შესწავლილი პროექტის განხორციელებით გამოწვეული ხარჯ-სარგებლიანობის შესაფასებლად. დასასრულს ნათქვამია, რომ მიღებული სარგებლის და გარემოზე მცირე ზემოქმედების გათვალისწინებით, ამ ეტაპისთვის არაქმედების ალტერნატივა არ არის მისაღები.

ზემოაღნიშნული დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ნაადრევია და იმის თქმა, გამოიწვევს თუ არა პროექტის განხორციელება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას და მოტანილი სარგებელი უფრო დიდი იქნება თუ დანაკარგი საფუძვლიანი კვლევების ჩატარების გარეშე არ არის გამართლებული. ამასთან, ნულოვანი ალტერნატივის განხილვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის მიხედვით, გულისხმობს „საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას“ და არა იმის განხილვას, რა სარგებელს მოიტანს პროექტის განხორციელება. ამ ნაწილში, უნდა შეფასდეს თუ რა შედეგებს მოიტანს პროექტის განუხორციელებლობა მოსალოდნელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების კუთხით, რაც ასევე არ არის შესწავლილი და წარმოდგენილია მხოლოდ პირობითი, ზოგადი ჩანაწერები პროექტის განხორციელების დადებით მხარეებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების ალტერნატიულ ვარიანტებს, აქ აღსანიშნავია ჰესის ძალურ კვანძთან (ქვედა ბიეფთან) მისასვლელი გზის მოწყობის საკითხი. დოკუმენტის მიხედვით ქვედა ბიეფის მისასვლელი გზის მოწყობა დაგეგმილია არსებული სატყეო გზის გაგრძელებაზე. თუმცა, ამის მიუხედავად, არ არის განხილული ძალურ კვანძთან მისასვლელი გზის სხვა ვარიანტი, გარდა სატყეო გზის ათვისების ალტერნატივისა, ანუ რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ „ბახვი 2“ ჰესის პროქტი არ განხორციელდება ან ეს ორი პროექტი დროში ასცდება ერთმანეთს?

ამასთან, გზშ-ის ეტაპზე მისასვლელი გზების ალტერნატივების შესწავლისას, **გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთების მდინარის ხეობაში, ციცაბო ფერდობებზე გავლის საჭიროების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოხდეს თითოეული ალტერნატივის შემთხვევაში ასათვისებელი ტერიტორიის გეოლოგიური მახასიათებლების საფუძვლიანად შესწავლა** (და არა ვიზუალური დათვალიერება) და მოსალოდნელი გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების გამოვლენა.

ალტერნატივების ნაწილში წარმოდგენილი არ არის კარიერების მდებარეობის ალტერნატივები, რომელთა განხილვაც ასევე მნიშვნელოვანია. ერთი შეხედვით, სამშენებლო მოედანთან ახლოს მდებარე საბადოების ათვისება ტრანსპორტირების ნაკლები ხარჯების გათვალისწინებით ეკონომიკურად შესაძლოა მომგებიანი იყოს, თუმცა ამან შეიძლება გაზარდოს სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება. შესაბამისად, აუცილებელია ალტერნატივების წარმოდგენა სამშენებლო მასალების მოპოვების ადგილმდებარეობასთან მიმართებითაც.

გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფუჭი ქანების სანაყაროების განთავსების ალტერნატიული ვარიანტებიც.

ნუგზარ ჯანაშვილი



მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი. დაიბადა 1954 წელს, ქ. გორში, პოეტისა და ჟურნალისტის, ფირუზ ჯანაშვილის ოჯახში. დაამთავრა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ისრაელში ამოსვლამდე მუშაობდა განათლების სისტემასა და ქალაქის მუნიციპალიტეტში. ისრაელში ამოვიდა 1999 წელს. იგი გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი პოეტური კრებულისათვის „ოცი წლის შემდეგ". გამოცემული აქვს ასევე ლექსების ერთობლივი (მამამისთან, ფ. ჯანაშვილთან ერთად) კრებული „გრძელდება წუთი"(2005 წ.), ასევე მოთხრობებისა და ესსების წიგნი „მშვენიერი იაფო"(2014 წ.). არის ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „გულთა კავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი, „შალომ კლუბ გურიას“ დიდი მეგობარი.

უსათაურო

მე წინ მივდივარ... .

მხარზე წლინახევრის შვილიშვილი მიზის და ახლა ზუსტად ვეღარც ვიხსენებ, რა სიტყვებით ვეფერები.

ჩემი დათუჩა ნიკაპით მებჯინება ლოპიტაზე და ლეკვივით ყურდაცქვეტილი მისმენს. დროდადრო წამოიწევს, ან კატას თუ მოკრავს თვალს,ან, გავლილი გაკვეთილივით - ნაცნობ ქუჩას... კი ვგრძნობ უკანიდან ვიღაცის გახშირებულ სუნთქვას, ,ფრთხილი და წყვეტილი ნაბიჯების ხმაც მესმის, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ - ასეთი რამდენია, განსაკუთრებით აქ, გოლდაზე, დილა-საღამოს რომ არ წყდება სპორტულად მოსიარულეთა თუ არასპორტულად მორბენალთა ზღვა-ნაკადი.

ერთ მომენტში, რაღაც, უფრო სლუკუნივით ხმა მომწვდა და უკან ვიხედები. ახალგაზრდა ქალი ჩემგან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით, თითქო შეცბაო, ჩერდება და თავს ხრის. მე გამომცდელად ვაცქერდები, მაგრამ, ვიდრე რაიმეს ვეტყოდე, თავად მასწრებს და გაფაციცებით მეკითხება:

- ქართველი ხართ, არა ?

- კი, ქართველი ვარ - ვპასუხობ ისე, რომ გამომეტყველებას არ ვცვლი... ანუ, გაგრძელებას ველოდები.

- ნუ გაგიკვირდებათ, თქვენს ქართულ სიტყვებს გამოვყევი, რა ლამაზად ეფერებოდით ბავშვს ,შვილიშვილია, ხომ ?

- რატომ, მამობა აღარ შემფერის ? - მეღიმება მე.

- კი, მაგრამ...

- კარგი, კარგი, შვილიშვილია - ვამხნევებ და შემდგომი სვლისთვის ვამზადებ; ეს მეოთხეა, მეხუთე სახლში იზრდება, აკვანში არა, მაგრამ... იზრდება.

- ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომენატრა ბავშვი... ჩემი პატარა ორი წლის დავტოვე, დედაჩემი ზრდის... ამ ბოლო დროს ყოველ ღამე მელანდება.

- დიდიხანია აქ ხართ ?

- წელიწადზე მეტია უკვე.

- ჰოო, გაძნელდა ცხოვრება - აქ დათუჩა თავზე ხელს მიტყაპუნებს, სიგნალს თუ მაძლევს, გამაჭენე, შენი ძველმოდური პათეტიკა აღარაა საინტერესო, საქმეს მიხედეო... მე მეღიმება, ძირს ვსვამ და ხელს მაგრად ვჭიდებ.

- ერთი თხოვნა მაქვს, თუ არ გამიწყრებით.

- ბრძანეთ ,

- ბავშვი მომენატრა ძალიან... ბავშვის სუნი და სითბო, ცოტა ხნით ხელში ავიყვან, თუ შეიძლება.

- არა მგონია დაითანხმოთ, როცა ჩემთანაა დედ-მამასთანაც არ მიდის.

- ვცდი...

ახალგაზრდა ქალი დათუნას უახლოვდება და თმაზე ეფერება. ჩემი შვილიშვილი გაკვირვებით შემომცქერის, თავს მორცხვად ხრის და ფეხზე მეხვევა.ქალი, გენაცვალეო, თითებზე კოცნის და ნაზად უღიმის. ცოტა ხანში ,ვგრძნობ, დათუჩა როგორ ნელ-ნელა მიშვებს ხელს და ქალისაკენ იხრება. მართლა მიკვირს.მერე ქალი იღლიებში ხელს უცურებს, თავისკენ იზიდავს და ფეხზე დგება. ბავშვი ჯერ ყურადღებით ათვალიერებს, აკვირდება და მცირე დისტანციას მაინც ინარჩუნებს, მაგრამ მალე ნებდება და ლოყას ლოყაზე ადებს.

... მერე მე ორივეს თვალს ვარიდებ, იმდენად დამთრგუნველია ეს ყოველივე.

ქალი ერთდროულად კიდეც იღიმის და კიდეც ტირის... მაგრამ ეს არც ღიმილს ჰგავს და არც ტირილს...

რატომღაც, ბავშვობა მახსენდება, ჩემი ქუჩა და ეზო, ერთდროულად მზეს და ჟუჟუნა წვიმას რამდენჯერ გავუხარებივართ ბალღები...

- მაპატიეთ... გმადლობთ... - ჩემდა გასაკვირად ქალი სწრაფად მაწვდის ბავშვს და ისე ელვისებურად მშორდება, სიტყვის თქმასაც ვერ ვასწრებ.

იგი მთიელი გოგონასავით მსუბუქად მიდის...

ქართული ცეკვასავით, ნარნარად...

მაყურებლისთვის დატოვებული კითხვა, ვინ არის მკვლელი და..., სად ჩერდება დანაშაულის ზღვარი - სიყვარულთან?

როიალის მძაფრი ხმა არღვევს დარბაზის სიმყუდროვეს, სამი წყვილის ისტორია, სამი ბედუკუღმართი გრძნობა, სიყვარულის სახელით გამართლებული ღალატი და დაუნდობელი ინსტიქტები. ჩამუქებული შტრიხებით, ნელ-ნელა იცვლება მოქმედება და ერთიანდება კიდეც. ასე შემოდის სპექტაკლის შემოქმედებითი კოლექტივი მაყურებლის ცნობიერებაშიც. აქ, ორთავე მხარეს ერთმანეთისგან თხელი, ცისფერი ფარდები ჰყოფს. მათ გრძნობებს მაღლიდან დაჰყურებს მთვარე. რომელსაც „მიპატიჟება არ სჭირდება და რომელმაც თავად იცის, ვისთან როდის მივიდეს“.

სპაქტაკლი 3+3. სცენარის ავტორი *მანანა დოიაშვილი,* რეჟისორი *იოანე(ვანო) ხუციშვილი;* მხატვარი *თეო კუხიანიძე;* მუსიკალური გამფორმებელი *გიორგი ჯიქია*; რეჟისორის ასისტენტი *ვახტანგ ჩხარტიშვილი;* ტექნიკური რეჟისორი *მაკა მამულაიშვილი;* სამხატვრო ხელმძღვანელი *ვასო ჩიგოგიძე;* ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურე-ატი. თეატრის მმართველი ზაზა *ჯინჭარაძე.* გარემო საუკეთესო. აქ ყველაფერს ეტყობა მეურნე ხელი.

„ჩვენ ყველანი ერთმანეთის ცოდვებს ვზღვავთ, თუმცა საკუთარიც საკმარისად დაგვიგროვდა“. მონანიების ეს სიტყვები ბოლოს... მანამდე კი, პერსონაჟები ისე არიან ჩართულნი ცხოვრების ორომტრიალში, საკუთარი ადგილის დაკავებასა, ან დაბრუნებაში, რომ, ხშირად ინსტიქტები უფრო მართავენ მათ. თანაც ბოღმით და გაუტანლობით სავსე ინსტიქტები, ვიდრე გულის და გონების გამოძახილი. შესაძლოა სხვამ სხვაგვარად თქვას კიდეც, ინსტიქტები კიარა, ესაა სწორედ მათი გულის და გონების ძახილიო. იქნებ მართალიც არის, რადგან, რამდენი ადამიანია ქვეყნად, იმდენივე სიყვარულია და სიყვარულის გამოძახილი, იმდენივესიმართლე და მორალი. ამ ფიქრებში,მოქმედმა პირებმა უკვე შეგვიყოლიეს თავიანთ ცხოვრებაში.

თამარ მდინარაძის პერსონაჟი — შვილის გაჩენის გამო, ეტლს მიჯაჭვული, მეუღლისგან მიტოვებული ქალი, ვერ ახერხებს საკუთარ ქვეცნობიერზე ამაღლებას და თავის უბედურებას, ვერ პატიობს შვილს. ძნელია მოისმინო მისი განწირული ხმა: — ჩემი ახალგაზრდობა ჩემმა შვილმა წაიღო... დამიბრუნე ყველაფერი, რაც წამართვი...იგი ცდილობს ფანჯარასთან მისვლას და იქიდანაც მხოლოდ წყვდიადსა და მთვარეს ხედავს, მას ესაუბრება.

მზრუნველობა, უძლურება ბედისწერის წინაშე, ჩვეულებრივი, მძიმე ყოფა. თითქოს ჩვეულებრივ ხაზად გასდევს სპექტაკლს.

დასა და დის შვილზე ზრუნვით ფუთავს მსახიობ *შორენა გვეტაძის* პერსონაჟი, თავის საქციელს, რომელმაც უმწეო დას წაართვა მეუღლე. ისიც, *ნიკა ძნელაძისა* და *ვახო ჩხარტიშვილის* პერსონაჟებიც, სიყვარულის სახელით ამართლებენ ბოროტებას და დანაშაულს. სინამდვილეში, მხოლოდ იმას იღებენ ცხოვრებისგან, რაც მოსწონთ. წინასწარ დაწერილი სცენარით, თვითმკვლელობამდე მიჰყავთ ისედაც გასაცოდავებული, ფსიქიურად მოშლილი, ეტლს მიჯაჭვული, ქალი სიმბოლური თეთრი კაბით,უხასიათო და ცივი. იგი წარმოსახვაში დარჩენილ სიყვარულს ასე უხმობს - „ *ნახე, როგორი ცხელი ვარ“*, არადა საოცარი ოსტატობით შემოისხა სიცივისა და სიკვდილის აჩრდილის მანტია. და მეორე: მართლაც სიცოცხლით და სითბოთი სავსე ახალგაზრდა გოგონა, მაყურებლის თვალწინ, სცენაზე,ვითომ მკვდარი,წითელ სუდარა გადაფარებული იწვა. გოგონა საკუთარმა ოჯახმ-ამთელი ცხოვრება ტყუილში აცხოვრა. დეიდამ, მამამ და საქმრომ, მათივე ბოროტების სცენარში ჩართო. აქაც სიმბოლური იყო წითელი ფერი, სიცოცხლის სიყვარულისა, მაგრამ სიკვდილისთვის ფერი არ ფერობს. მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც მოელოდნენ, როცა გათავისუფლდნენ ზედმეტი ტვირთისგან, განწირული ხმა - *დამიბრუნეთ ჩემი გოგონა* — ისევ როიალის მძაფრმა ხმამ გასერა მძიმე მდუმარება. მაყურებლის მოლოდინი და რეპლიკა დარბაზში, ქალი ალბათ ფეხზე წამოდგება, ან... და რა ხდება სინამდვილეში. უმძიმესი სცენა, სიღრმეში თოკზე გამოკიდებული მოქანავე ქალი ჩნდება თავის ეტლთან ერთად. მათივე სცენარის ბოლოს, როცაოჯახის წევრებმა გოგონას თავისთან მოუხმეს — „*ადექი, ყველაფერი კარგად დამთავრდა,“* არ შერხეულა წითელი სუდარა, იგი მართლაც უსულოდ იწვა. ვერ გაუძლო ამ ტყუილს და ვერაგობას *ციცი ბუცხრიკიძის* პერსონაჟმა.

სპექტაკლის დაწყებამდე, ფოიეში საუბრის დროს, ზაზა ჯინჭარაძემ თითქოსდა ხუმრობით გვითხრა, გარწმუნებთ, ორ ღამეს მაინც ვერ დაიძინებთ მშვიდად. როცა ჩვენს თვალწინ, ყოფიერების კადრები ერთმანეთს ცვლიან, ამ კადრებში უფრო მკაფიოდ იკვეთება მუქი ფერები, თუნდაც ფასადურად გაფერადებული, სიმბოლო საშინელი დასასრულისა, გულს მოსვენებას უკარგავს კითხვა, რატომ ასე და, არა სხვაგვარად.

სპექტაკლის დასასრული. თავდაპირველი სიჩუმე, მერე ემოციებისგან დაღლილი მსახიობების და მაყურებლის შეხვედრა. საუკეთესოდ განსახიერებული როლების შეფასება. ბევრი ტაში და მოწონების შეძახილები... მაყურებლისთვის დატოვებული კითხვა - ვინ მოკლა? პასუხი პირველი, - გული გაუსკდა; მეორე- თავი მოიკლა; ლოგიკურია ორთავე პასუხი.

ნინო ნიკოლაიშვილი.

აპოლონ ჩავლეიშვილი



ძველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი აპოლონ ჩავლეიშვილი დაიბადა 1906 წელს –ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურში.

სიმღერის ნიჭი მას ბავშვობიდან გამოჰყვა. 10 წლის იყო, როდესაც იგი დაუახლოვდა მგალობელსა და მომღერალს ერმალო მოლარიშვილს, რომელმაც გაუკაფა გზა დიდი ხელოვნებისკენ. უკვე ჩამოყალიბებული მომღერალი ჭაბუკი სიმღერის შესასწავლად მიდის ცნობილ მომღერალ –სამუელ ჩავლეიშვილთან, რომელმაც კიდევ უფრო გაუღრმავა ცოდნა და დააოსტატა გურულ სიმღერებში.

აპოლონ ჩავლეიშვილი ეკუთვნის მომღერალთა იმ თაობას, რომელიც აღიზარდა გურული ხალხური სიმღერების დიდოსტატის ვარლამ სიმონიშვილის შესანიშნავ ტრადიციებზე და რა გასაკვირია ასეთი ბუმბერაზი ადამიანის მოწაფეს არ გასჩენოდა სურვილი–მას შეექმნა მომღერალთა გუნდები.

აღსანიშნავია, რომ ერთი პერიოდი აპოლონი მუშაობდა ოზურგეთის სახანძრო დაცვის უფროსად. მან აქვე ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც კონცერტებს ატარებდა სოფლებში და შემოსულ თანხას რიცხავდა თავდაცვის ფონდში, რისთვისაც უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობა დაიმსახურა.

აპოლონი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სხვადასხვა სოფლებში. მან შექმნა მომღერალთა გუნდები ნაგომარში, დვაბზუში, მერიაში, კონჭკათში, ნაღობილევში და სხვა. მის მიერ შესრულებული სიმღერები დიდ მოწონებას იმსახურებდა როგორც მაყურებელთა, ასევე ჟიურის წევრებს შორის.

აპოლონ ჩავლეშვილს აქვს მისი შექმნილი სიმღერები. ასეთებია: სიმღერა „პარტიაზე,სიმღერა „ოქტომბერზე,“სიმღერა „8 მარტზე,“ სიმღერა „სტახანოველი კოლმეურნე,“„შრომის სიმღერა“ და სხვა, რომლებიც იმ პერიოდში აუცილებელი იყო გუნდს ჰქონოდა რეპერტუარში.

ბოლოს აპოლონი აქტიური მონაწილე იყო ოზურგეთის ვეტერანთ გუნდის წევრთა შორის. იგი მის მეგობარ –ძველ მომღერლებთან ერთად ხშირად ატკბობდა მაყურებელს. მე კარგად მახსოვს ანსამბლ „დილას“ ყველა მონაწილე, რადგან „დილაში“ მამაჩემი –ილარიონ სიხარულიძე მღეროდა. მე მოხიბლული ვიყავი მათი ერთსულოვნებით და მათი დისციპლინით.

აპოლონი ხშირად გვსტუმრობდა ჩვენ ოჯახში სხვა მეგობრებთან ერთად. მე მიმღერია მათთან ერთად და მიხაროდა, რომ მხარს ვუბამდი ამ შესანიშნავ მომღერლებს.

ახლა კი ღმერთს ვთხოვოთ, ნათელში ამყოფოს აპოლონ ჩავლეიშვილის კეთილი სული.

ტრისტან სიხარულიძე,
ხელოვნების ქურუმი.

თინათინ ბარამიძე

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ამაგდარი, მშრომელი, უპრეტენზიო ადამიანი. მართალია, ის ასაკით გარდაიცვალა, მაგრამ ძალიან დაგვაკლდა!..

ოჯახის ერთგული, საქმის უზომოდ მოყვარული, კარგი მეუღლე, მზრუნველი ბებია, შვილების მოსიყვარულე დედა.

გულით დიდ ტკივილს ატარებდა. ერთის მხრივ ის ბედნიერია, თავის ქმარ-შვილთან დაივანებს.

სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ოჯახს. ყველა შვილზე, ნათესავზე აქვს გაწეული დიდი ამაგი, გაჭი-რვების დროს ყველას მხარში ედგა.

გულში წყენის ჩადება არ უყვარდა, ბავშვივით ალალი, კეთილი გული ჰქონდა.

მტკივნეულია დედის გარდაცვალება, რადგან დიდ სიყვარულს მშობლის მიმართ, მხოლოდ ასაკში გრძნობ.

მშვიდად იძინე დედი!

შენს საფლავზე მუდამ აინთება სანთლები“

შვილები,
შვილიშვილები

იყიდება

ქ. ოზურგეთში, ცენტრში, ბაზართან ახლოს (კლდიაშვილის ქუჩა) იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი (შელავათიან ფასში).

დაგვიკავშირდით მობ. 591 63 01 86 (იკითხეთ ია).

სკანვორდი



პასუხები:

ანიზეთი; ხუთიათი — ბერეტი; ბერეტი — ბერეტი; ბერეტი — ბერეტი; ბერეტ

საქართველო 1905-1907 წლებში

რევოლუციური გამოსვლები ჯარში

. მღელვარება ბათუმის გარნიზონში (მიხაილის სიმაგრეში)

ბათუმში მიმდინარე მუშათა გაფიცვებმა, რევოლუციონერთა რაზმებისა და ქალაქის მოსახლეობის შეიარაღებულმა დაპირისპირებამ პოლიციასა და ჯართან გავლენა მოახდინა ქალაქის გარნიზონზე. 1906 წლის 10 მაისს კავკასიის პოლიციის გამგე, გენერალ-ლეიტენანტი **ევგენი შირინკინი** კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს სწერდა, რომ ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებში, განსაკუთრებით მიხაილის სიმაგრის არტილერისტთა შორის მღელვარება შეინიშნებოდა. გენერალი შიშობდა, რომ სამხედროების განწყობილებას რევოლუციონერები გამოიყენებდნენ, რომელთაც უკვე შეძლეს ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებში **„სრულიად რუსეთის სამხედრო ცენტრის"** პროკლამაციის გავრცელება. 25 მაისს ევგენი შირინკინი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს უკვე კონკრეტულ ინფორმაციას აწვდიდა: 21 მაისს მიხაილის სიმაგრის ახლოს, სადაც განლაგებული იყო მესანგრეთა ასეული, გაიმართა სიმაგრის არტილერისტების, ჯარისკაცებისა და უმცროსი ოფიცრების, მიტინგი,რომელშიც 300-400 კაცი მონაწილეობდა. მიტინგზე განიხილეს სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი:1. პოლიტიკური დანაშაულისათვის დასჯილთა სრული ამნისტია; 2. აგრარული საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტა; 3.იმ ჯარისკაცთა სავალდებულო-სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა, რომელთაც, ახალი კანონის მიხედვით, სამსახურის ვადის შემცირება შეეხო. მიტინგზე ჯარისკაცებს დაურიგეს პროკლამაცია **„არმიასა და ფლოტს".** მიტინგი დაახლოებით 3 საათს გაგრძელდა. სანამ მიტინგი დაიშლებოდა, მიიღეს გადაწყვეტილება,რომ მეორე დღეს იმავე ადგილზე კვლავ შეკრებილიყვნენ. 1906 წლის 4 ივნისს ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსმა კავკასიის პოლიციის გამგეს გენერალ-ლეიტენანტ ევგენი შირინკინს აცნობა, რომ მიხაილის სიმაგრის ჯარისკაცებში რევოლუციური პროკლამაციები და ფურცლები ვრცელდებოდა. ინფორმაცია ასეთ ცნობებს შეიცავდა: მიხაილის სიმაგრის მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცთა, ასევე არტილერისტთა შორის გავრცელდა ფურცლები **„ჯარისკაცის მეგობარი"** და **„ყოველკვირეული ფურცელი."** ეს გამოცემები პერიოდულად იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ჯარისკაცთა შორის. არალეგალური გამოცემები მოპოვებული იქნა მესანგრეთა ბატალიონისა და მიხაილის სიმაგრის არტილერიის უმცროსი ოფიცრების მიერ. აგენტურული მონაცემებით დგინდებოდა, რომ მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ იმ პროპაგანდისტებთან, რომლებიც სამხედრო ფორმაში გადაცმულები აგიტაციას ეწევიან ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცთა და მიხაილის სიმაგრის არტილერისტთა შორის. პროპაგანდისტთა მოღვაწეობის შესახებ ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსს უცნობებია მიხაილის სიმაგრის ჟანდარმთა რაზმის უფროსისათვის. 1906 წლის 11 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე კიდევ უფრო საგანგაშო ცნობას აწვდიდა კავკასიის მეფისნაცვალს: 5 ივნისს მიხაილის სიმაგრის მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების ჯარისკაცთა შორის კვლავ გავრცელდა არალეგალური გამოცემები „ჯარისკაცის მეგობარი"და „ყოველკვირეული ფურცელი"; 11 ივნისს ბათუმში, თურქული ბაზრის ტერიტორიაზე, დაგეგმილი იყო ჯარისკაცთა შეიარაღებული მიტინგის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას ქალაქის მუშებიც მიიღებდნენ; აგენტურული მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ მიტინგის ორგანიზატორები ეცდებოდნენ ბაზრის ტერიტორიაზე კაზაკების შეტყუებას, რათა მათზე თავდასხმა მოეწყოთ.

12 ივნისს,მიხაილის სიმაგრის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა **ნიკოლაი პოჟიდაევმა** ჯერ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს, ხოლო შემდეგ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აცნობა: 11 ივნისს,საღამოს 10 საათზე, მიხაილის სიმაგრის არტილერიის მე-5 და მე-6 ასეულების ჯარისკაცებში მღელვარება დაიწყო. ღამით მღელვარება დაიწყო მე-2 ასეულის ჯარისკაცთა შორისაც. ჯარისკაცები ითხოვდნენ ფელდფებელის გადაყენებას, რომელიც უხეშად ეპყრობოდა მათ. ერთ-ერთი მოთხოვნა შეეხებოდა ინტენდანტების საქმიანობას, რომლებიც ჯარისკაცებს არ აძლევდნენ მათთვის განკუთვნილ ნივთებს. 12 ივნისს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, ციხესიმაგრის არტილერიის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა, პოლკოვნიკმა **ქორქაშვილმა** შეძლო წესრიგის დამყარება. დილიდან ჯარისკაცები ჩვეულებრივ სამსახურს შეუდგნენ. მღელვარების სავარაუდო წამქეზებლებმა გაქცევა მოასწრესჯარს, რომელსაც ალყა შემოერტყა ასეულისათვის, იარაღი არ გამოუყენებია. იმავე 12 ივნისს მიხაილის სიმაგრის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ნიკოლაი პოჟიდაევმა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდალს დეპეშით აცნობა: „მდგომარეობაუარესდება. აუცილებელია გარნიზონის დაუყოვნებლივ გაძლიერება მსწრაფლმსროლელი ბატარეით, ქვეითთა 2 ბატალიონითა და ტყვიამფრქვევით." ზემოთ მოყვანილი ოფიციალური მიმოწერიდან ცხადი ხდება,რომ მიხაილის სიმაგრეში ჯარისკაცთა მღელვარება არ წყდებოდა და მოსალოდნელი იყო მოვლენათა რადიკალიზაცია. ასეც მოხდა.

1906 წლის 14 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-ლეიტენანტი ევგენი შირინკინი ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვრცელ მოხსენებას უგზავნის კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსს. მოხსენების შინაარსი ასეთია:

1. მიხაილის სიმაგრეში ჯარისკაცთა მღელვარება პირველად არტილერიის მე-2 და მე-5 ასეულის ჯარისკაცთა შორის დაიწყო, რომელთა მოთხოვნების ნაწილი კანონიერი, ხოლო ზოგიერთი უკანონო იყო;

2. 1906 წლის 1 ივნისს მიხაილის სიმაგრის კომენდანტი გენრაალ-მაიორი ნიკოლაი პოჟიდაევი მივიდა იმ ფორტში, სადაც განლაგებული იყო არტილერისტთა მე-2 ასეული და ჯარისკაცთა მოთხოვნები მოისმინა. გენერალი ჯარისკაცებს დაჰპირდა, რომ კანონიერი მოთხოვნები შესრულდებოდა;

3. 1 ივნისს, დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე, ***ბათუმიდან*** *2 ვერსის მოშორებით,* ***ურეხში,*** *გაიმართა მიხაილის სიმაგრის არტილერიის ჯარისკაცთა, მესანგრეთა და მენაღმეთა ასეულების კრება, რომელსაც ბათუმიდან ჩასული გაფიცულებიც დაესწრნენ. ურეხის შეკრებას სულ 300-მდე კაცი დაესწრო. შეკრებილები ლაბინსკის კაზაკთა პოლკის მეთაურის მიერ გაგზავნილი წარმომადგენლის მოთხოვნის შემდეგ დაიშალნენ;*

4. 1 ივნისს, საღამოს, მიხაილის სიმაგრის ***„ბარცხანას"*** *ფორტის არტილერისტთა მე-5 ასეულის ჯარისკაცებმა იარაღის საცავის კარი გატეხეს და საარტილერიო ყუმბარები გაიტანეს. ამის შემდეგ ორივე მხრიდან გაადეს ფორტის ალაყაფი, გამოიტანეს და საბრძოლო მდგომარეობაში მიიყვანეს 2 ქვემეხი და მესანგრეთა ასეულის ჯარისკაცებთან ერთად დაიკავეს ხიდი, რომელზედაც გადიოდა „ბარცხანას"ფორტიდან ბათუმისაკენ მიმავალი გზა;*



5. 1 ივნისს, საღამოს 10 საათზე, „ბარცხანის" ფორტს მიუახლოვდა ლაბინსკის კაზაკთა პოლკის რაზმი პოდესაულ ***სატაროვის*** *მეთაურობით. ხიდზე მდგარმა შეიარაღებულმა არტილერისტებმა და მესანგრეებმა კაზაკები ფორტში არ შეუშვეს. ღამის 11 საათზე ხიდთან მივიდა მიხაილის სიმგრის არტილერიის უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი პოლკოვნიკი* ***ქორქაშვილი.*** *არტილერისტებმა პოლკოვნიკის მიმართულებით გაისროლეს, თუმცა ქორქაშვილს რაიმე დაზიანება არ მიუღია,იგი უკან დაბრუნდა;*

6. 1 ივნისს, პოლკოვნიკ ქორქაშვილის წარუმატებელი ვიზიტის შემდეგ, მიხაილის სიმგრის კომენდანტმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლაი პოჟიდაევმა „ბარცხანას" ფორტის ალყაში მოქცევის მიზნით ერთი მხრიდან ხერსონის ქვეითთა პოლკის 2 ასეული, ხოლო მეორე მხრიდან პლასტუნთა 2 ასეული გაგზავნა;

7. 1 ივნისს, ღამის 11 საათზე, მიხაილის სიმგრის მენაღმეთა ასეულის ყაზარმაში 3 მესანგრე გამოცხადდა, და მენაღმეებს „ბარცხანის"ფორტის არტილერისტთა დახმარებისაკენ მოუწოდა. მენაღმეთა ასეულის ჯარისკაცებმა იარაღი აიხსნეს, მაგრამ ყაზარმაში ასეულის მეთაურის, ***დვოეგლაზოვის,*** *მისვლის შემდეგ „ბარცხანას" პორტის არტილერისტთა დასახმარებლად წასვლა გადაიფიქრეს, თუმცა, მეთაურის მოთხოვნის მიუხედავად, ზემოთ ხსენებული 3 მესანგრე არ გასცეს;*

8. 2 ივნისს, დილით, მოლაპარაკების შემდეგ „ბარცხანას" ფორტის არტილერისტებმა ხიდი დატოვეს და ფორტში დაბრუნდნენ. მდგომარეობა მსხვერპლის გარეშე განიმუხტა;

9. 12 ივნისს, დილით, მიხაილის სიმგრის ფორტ „სამებას" არტილერისტებმა საინჟინრო სამუშაოებით დაკავებული მუ-შები აიძულეს მუშაობა შეწყვიტათ. „ახლა მუშაობის დრო არ არის"– გაიძახოდნენ ჯარისკაცები. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ მივიდა გენერალ-მაიორი ***კარლ გალლერი,*** *რომელიც საინჟინრო სამუშაოს ხელმძღვანელობდა. ჯარისკაცებმა გენერალს სთხოვეს, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ფორტის ტერიტორია და ამასთან ერთად განუცხადეს, რომ ნაშუადღევის 4 საათზე ფორტ „ბარცხანაში"დანიშნულ მიტინგზე უნდა წასულიყვნენ;*

10. 12 ივნისს ფორტ „სამების" არტილერისტებმა გატეხეს იარაღის საწყობის კარები, შეიარაღდნენ, საბრძოლო მდგ-ომარეობაში მოიყვანეს ფორტის არტილერია, ფორტის ტერიტორიაზე მხოლოდ მორიგეები დატოვეს და თვითონ იარაღასხმულები ფორტ „ბარცხანისაკენ" გაემართნენ. იმ შემთხვევისათვის, თუ ფორტ „სამებას" სხვა სამხედრო ნაწილი მიუახლოვდებოდა, ამის შესახებ საგანგებოდ დანიშნულ მეთვალყურეებს ფორტში დარჩენილი არტილერისტებისათვის უნდა ეცნობებინათ;

11. 12 ივნისს, საღამოს, ფორტ „კახპერის" არტილერისტთა მე-2 ასეულის ჯარისკაცთა კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ფორტიდან გაიყვანეს კაზაკები;

12. 12 ივნისის ღამით როტმისტრმა ***აგილევმა*** *მიხაილის სიმგრეში 3 პროპაგანდისტი დააპატიმრა, რომლებიც მესანგრეთა და მენაღმეთა შორის აგიტაციას ეწეოდა. დაპატიმრეს სხვა აგიტატორებიც, მაგრამ დილით ყველანი გაანთავისუფლეს იმ მიზეზით, რომ თითქოს ბრალი არ დაუდასტურდათ;*

13. მიხაილის სიმგრის მენაღმეთა ასეული სრულიად დემორალიზებულია, საეჭვოა, რომ სანმედო იყოს მიხაილის სიმგრეში მყოფი ქვეითთა ბატალიონი, არტანის ქვეითთა სარეზერვო პოლკი, სიმგრის არტილერიის მე-4 და მე-6 ასეულები. ნდობას იმსახურებს მხოლოდ ხოპერსკის 130-ე ქვეითთა პოლკი, პლასტუნთა პოლკი და ლაბინსკის კაზაკთა პოლკები;

14. ბათუმში ჯერჯერობით სიმშვიდეა, მაგრამ, საერთო ვითარებიდან გამომდინარე, მდგომარეობის დაძაბვა ყოველ წუთს არის მოსალოდნელი;

15. აგენტურული ცნობების მიხედვით, 15 ივნისს კიდევ ერთი შეიარაღებული მიტინგი უნდა გაიმართოს.

მიხაილის სიმაგრეში 1906 წლის ივნისის პირველ ნახევარში განვითარებული მოვლენები მისი საშიში ხასიათის გამოსაგანგებო გამოძიების საგანი გახდა. გამოძიებას აწარმოებდამიხაილის სიმაგრის ჟანდარმერიის უფროსი, ჟანდარმთა კორპუსის როტმისტრი **ჯაფელი** და ბათუმის ოხრანკის პუნქტის უფროსი როტმისტრი **ანგილევი.** გამოძიებამ დაადგინა ბევრი ისეთი ფაქტი,რომლებმაც ასახვა ვერ პოვა მიხაილის სიმაგრის კომენდანტის, გენერალ-მიორ **ნიკოლაი პოჟიდაევის** მიერ 1906 წლის 12 ივნისს თბილისში გაგზავნილ 3 დეპეშაში და კავკასიის პოლიციის გამგის, გენერალ-ლეიტენანტ **ევგენი შირინკინის** 1906 წლის 14 ივნისის მოხსენებაში. გამოძიების შედეგები აისახა 1906 წლის 18 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგის მიერ კავკასიის მეფისნაცვლისათვის წარდგენილ ვრცელ მოხსენებაში. მოხსენება საინტერესო ფაქტებს შეიცავს. მიხაილის სიმაგრის არტილერიის მე-2 ასეულის ჯარისკაცთა მღელვარების მეთაურები იყვნენ ჯარისკაცები **ზინენკო** და **მინაკოვი.** ზინენკო ჰაუპტვახტიდან ახალი გამოშვებული იყო, ხოლო მინაკოვი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალიდან. მე-5 ასეულში გამოსვლებს ჯარისკაცი ნაზარიანცი მეთაურობდა. ზინენკომ, მინაკოვმა და ნაზარიანცმა მიმალვა შეძლეს. სულ ბათუმის გარნიზონში 1906 წლის ივნისში მომზდარი მღელვარების გამო პასუხისგებაში მისცეს 27 ჯარისკაცი.

მართალია, 1906 წლის ივნისის პირველ ნახევარში ხელისუფლებამ მიხაილის სიმაგრეში დაწყებული ჯარისკაცთა მღელვარების ლიკვიდაცია შეძლო, მაგრამ ვითარება ბათუმის გარნიზონში კვლავ დაძაბული რჩებოდა. 1906 წლის 2 ივლისს კავკასიის პოლიციის გამგემ კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენა: 1906 წლის 28-29 ივნისს ღამით დაპატიმრებული იქნა მიხაილის სიმაგრის 29 სამხედრო პირი(15 –მენაღმე, 13 –მესანგრე, 1 – საინჟინრო სამსახურის რიგითი). პატიმრები ბათუმიდან ყარსის სიმაგრეში უნდა გადაეყვანათ. აგიტატორებმა ჯარისკაცებს მოუწოდეს, წინ აღდგომოდნენ ამ პროცესს. აგიტატორებმა გარკვეულ წარმატებას არტაანის პოლკში მიაღწიეს. ისინი ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, არ დაეშვათ დაპატიმრებულთაყარსში გადაყვანა. არტაანის პოლკის ოფიცრებმა ჯარისკაცების დამშვიდება შეძლეს. დაპატიმრებული 29 ჯარისკაცის ბათუმის რკინიგზის სადგურში მშვიდობიანად მიყვანის მიზნით კავკასიის მსროლელთა 1-ლი ბატალიონის მე-3 ასეული მეთაურის წინამძღოლობით ჰაუპტვახტთან გამოცხადდა. პატიმრები არ დაემორჩილნენ ოფიცრების ბრძანებას და საკენებიდან არ გამოვიდნენ. ასეულის მეთაურმა ჯარისკაცებს უბრძანა,მათი ძალით გამოყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელებმა ბრძანება არ შეასრულეს. ასეულის მეთაურმა რევოლვერი მოიმარჯვა და ჯარისკაცებს დაემუქრა. ჯარისკაცები არ შეშინდნენ. ასეულის მეთაურმა ჰაუპტვახტი დატოვა, ქუჩაში გამოვიდა და მომზდარი კავკასიის მსროლელთა 1-ლი ბატალიონის მეთაურს, პოლკოვნიკ **გარანინს,** აცნობა. გარანინი ჰაუპტვახტში გამოცხადდა, წესრიგი სწრაფად აღადგინა და დაპატიმრებულები გაიყვანა. სულ ბათუმიდან ყარსში 40 ჯარისკაცი გადაიყვანეს.პატიმართა პირ-ველი ჯგუფი(მესანგრეები და მენაღმეები) ბათუმიდან 1906 წლის 29 ივნისს გავიდა. შემდეგ გადაიყვანეს არტილერისტები.

დაპატიმრებებმა და ბათუმის გარნიზონიდან რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცების ყარსში გადაყვანამ ჯარისკაცთა შორის მღელვარება ვერ მოსპო. 1907 წლის 27 მაისს ბათუმის სიმაგრის კომენდანტი გენრალ-მაიორი **ვლადიმირ ალფუტანი** კავკასიის მეფისნაცვალს სთხოვდა, რომ ქალაქ ბათუმში საალყო მდგომარეობა კვლავ შენარჩუ-ნებულიყო. თხოვნა დასაბუთე-ბული იყო იმით, რომ ქალაქში სიმშვიდის შენარჩუნება ჯარის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული

საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, (1918)გვ. 367-370))

 პრემიერა

ოზურგეთში ახალი თეატრალური სეზონი „გურიის დედოფალმა“ გახსნა

სოფიო წულუკიძე-გურიელისა ოზურგეთის ქუჩებში დააბიჯებს

ალიონი. სათაურსა და ქვესათაურში ჩემი, როგორც რიგითი მაყურებლის, შთაბეჭდილება გადმოგეცით, **თამარ პაპავას** დოკუმენტური დრამის მიხედვით, რეჟისორ **გოჩა კაპანაძის** სპექტაკლზე „გურიის დედოფალი“, რომლითაც ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახალი თეატრალური სეზონი გახსნა.

მართალი გითხრათ, პირველად ვნახე ბატონი გოჩას რეჟისორული ნამუშაკარი და არ მიკვირს, რატომ არის ეს ხელოვანი სახელმწიფო, კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის პრემიების ლაურეატი. რეჟისორის ფართო დიაპაზონზე და მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თვითონაა ინსცენირების ავტორიც და სპექტაკლის მუსიკალური გამფორმებელიც.

წესად მაქვს, როცა სპექტაკლს ვუყურებ, რეჟისორი ან მსახიობები იქნებ რაიმეში გამოვიჭირო-მეთქი, ხანდახან გამომიჭერია კიდეც, მაგრამ აქ პირიქით მოხდა, მე გამომიჭირეს, თანაც როგორ: თოთხმეტი პერსონაჟის ამდენივე განსხვავებულმა ტიპაჟმა გურიის სამთავროში მიმიმწყდიეს და გაოცებისაგან პირღია დამტოვეს. თითქმის ორი საათი იმ ცხოვრებით მაცხოვრეს, რა ცხოვრებითაც სამთავროს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, რა ცხოვრებასაც ეს ტიპაჟები განასახიერებდნენ, ის ტკივილი მაგრძნობინეს, რაც მათ სტკიოდათ, ის სიამაყე განმაცდევინეს, რაც მათ განიცადეს, ისე დამმუხტეს, რომ აღარ მინდა განვიმუხტო. წარმოვიდგინე, რომ გურიის დედოფალი სცენაზე კი არა, ოზურგეთის ქუჩებში დააბიჯებდა და იძახდა, „რუსს აქ არაფერი ესაქმება. თუ ასე მოსწონს ჩვენი ქვეყანა, სტუმრად მოვიდეს“. წუხან გურულები – „შავი ჭირივით მოედო რუსეთი ქვეყანას, ბაგრატიონები ხერხემალში გადაამტვრიეს, გურიაღა დარჩა გადასაყლაპადო“. ორად გაიყო სამთავროს აზრი, ერთნი ხსნას რუსეთის მფარველობაში ხედავენ, მეორენი – ოსმალეთის შეწევნაში. „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“, – რომაელთა გამონათქვამს იშველიებს სოფიო, „გურულებს თათრისა არაფერი სწამსო“, – შეკადრებენ მას, „გურიის გადასარჩენად ეშმაკსაც კი შევეყრები, არ მინდა, ჩემმა შვილებმა და ხალხმა მონობაში იცხოვრონო“, – იხტიბარს არ იტეხს დედოფალი, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა უპირველესია. კალმით აუწერელი და ენით უთქმელი ეროვნული ტკივილი უწყვეტ ზოლად გასდევს ამ ტრაგიკულ ისტორიას. პატარა ქვეყნის დიდი დედოფალი ოსმალეთში გადაიხვეწება და იქ ამთავრებს თავის სიცოცხლეს. თუმცა, არ მთავრდება თავისუფლებისთვის ბრძოლა. სცენის სიღრმეში დედოფლის სილუეტი ხმალს ახალ სოფიოს გადასცემს, რითაც გვამცნობს, რომ დგება რუსის განდევნის ჟამი...

დაწყებული ორიგინალური ექსპოზიციიდან, დამთავრებული მაყურებლის ომახიანი „ბრავოთი“, სპექტაკლი იმდენად დინამიკურია, ამოსუნთქვის საშუალება არ გეძლევა, უფრო სწორად, საამისოდ ვერ იცლი. უნაკლოა სცენოგრაფია, მაშინდელი ეპოქის შესაბამისია კოსტიუმები, მროკავია ქორეოგრაფია.

ეს ჩვენ გვგონია პატარა, სინამდვილეში დიდი და საოცრად მოძრავი ყოფილა გურია, იმდენად დიდი, რომ მიკვირს როგორ მოახერხა სპექტაკლზე მომუშავე შემოქმედებითმა ჯგუფმა სცენაზე ამდენი მოუსვენარი გურულის დატევა.

და ბოლოს, ჩემი აზრით, ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის **ვასო ჩიგოგიძის** თაოსნობით, ახლა მეორე „ოქროს ხანა“ უდგას, პირველი გეხსოვრებათ, გასული საუკუნის 60-80-იან წლებში იყო.

ჩემი კიდევ ერთი ბრავო, მაესტროს!!!

თემურ მარშანიშვილი

ნესტან ცინცაძე - მანანა წულუკიძის აღმოჩენა

ნესტან ცინცაძე საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარისა“ და მისი დირექტორის, ქალბატონ მანანა წულუკიძის აღმოჩენაა.

ნესტან ცინცაძე დაიბადა 2005 წლის 19 ივლისს.სამტრედიაში ცხოვრობდა, სანამ მამა გარდაეცვლებოდა. ობოლი გოგონა, დედასთან ერთად, იძულებული გახდა მშობლიური ადგილი დაეტოვებინა და ბიძას შეკედლებოდა დაბა ლაითურში.

ნესტანი 16 წლისაა, სწავლობს წარჩინებით დაბა ლაითურის საჯარო სკოლაში. ამბობს, „ქიმიკოსი უნდა გამოვიდეო“. მისი ინტერესის სფერო ყოველთვის იყო და არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ჯერ ფურცლებზე, ხოლო შემდეგ ქვებზე ხატავდა, ამჟამად ქაღალდებით ყვავილებსა და სხვადასხვა ნივთებს აკეთებს. მისი ეს საქმიანობა ხუთ წელს ითვლის და არც ერთი წუთით უფიქრია მიტოვება. ამბობს, რომ ხელოვნება არა მხოლოდ ჰობი, არამედ მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

აღსანიშნავია, რომ ნესტანი საგანმანათლებლო ორგანიზაცია „მწიგნობარისა'' და მისი დირექტორის, ქალბატონ მანანა წულუკიძის აღმოჩენაა. ამ ორგანიზაციამ ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა. ნესტანის ნამუშევრების გამოფენა სწორედ ამ ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო. ნესტანის ნამუშევრებს მნახველი დღესაც აღტაცებაში მოჰყავს. მიზანდასახული გოგონაა და იმედოვნებს, რომ, მიუხედავად ნისლიანი დღეებისა, მისი ცხოვრებაც იქნება ფერადი, ნათელი დღეებით აღსავსე.

ნათია სურმანიძე

მესხეთის თეატრი ოზურგეთში

ალიონი. 3 ნოემბერს, ოზურგეთის თეატრის სცენაზე მესხეთის (ახალციხის) პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა ნიკოლოზ გოგოლის „ქორწინება“ წარმოადგინა.

ეს იყო ამ თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა, რომლის დამდგმელი და მუსიკალური გამფორმებელი **სერგი პავლიუკია.**

ოზურგეთელმა მაყურებელმა სცენზე იხილა საქართველოს დამსახურებული არტისტების **ლია სულიაშვილის** ფეკლა ივანოვნა, **ვაჟა ნიკოლაიშვილის** ივან პავლოვიჩი; მსახიობების **ჯუნა თუმანიშვილის** –აგაფია ტიხონოვნა, **მანანა ბერიძის** –არინა პანტელეიმოვნა, **მალხაზ შაყულაშვილის** –გოგოლი, სტეპანი, **ნიკოლოზ გოგიძის** –პოდკოლესინი, **მანუჩარ გოგოლაურის** –ილია კოჩკარიოვი, **კონსტანტინე კახიშვილის** –ნიკანორ ანუჩკინი, **ანდრია ვაჭარაძის** –ბალთაზარ ჟევაკინი.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვასილ ჩიგოგიძე** მიესალმა სტუმრებს და აღნიშნა, ეს არის საქართველოს კულტურის სამინისტროს პროექტი, რომელიც საშუალებას აძლევს თეატრებს თავიანთი შემოქმედება სხვა რეგიონების და ქალაქების სცენაზე წარმოადგინონ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +13+21	მზე, +13+22	წვიმა +7+15	წვიმა +7+13	მზე, +9+14	მზე, ღრუბელი +9+14	წვიმა +5+15
8 ნოემბერი	9 ნოემბერი	10 ნოემბერი	11 ნოემბერი	12 ნოემბერი	13 ნოემბერი	14 ნოემბერი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა